

ასოციაცია მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შპს „დარი +“ მანგანუმის გამამდიდრებელი ქარხნის საქმიანობის  
საზოგადოებრივი განხილვისათვის წარმოდგენილი  
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

16 დეკემბერი, 2013 წ.

წარმოგიდგინებ შენიშვნებსა და კომენტარებს შპს „დარი +“ მანგანუმის გამამდიდრებელი ქარხნის საქმიანობის საზოგადოებრივი განხილვისათვის წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე:

1. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი განხილვისათვის წარმოდგენილი გზმ ანგარიში მეტად დაბალი ხარისხისაა. არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი უკიდურესად ზედაპირულადაა წარმოდგენილი. გზმ დოკუმენტის უმეტესი ნაწილი გაჯერებულია, სხვა პროექტების გზმ ანგარიშებიდან გადმოტანილი უსარგებლო ინფორმაციით და მონაცემებით, რაც ხელს უშლის მკითხველისთვის სასარგებლო, უშუალოდ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის აღქმას. მაგალითად, ასეთი ქვეთავებია: ანოტაცია; თავი 1 შესავალი; 2 ქვეთავი „გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი“; 2.8 ქვეთავი ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზი; რადიაციული ფონის შეფასება; „გარემოზე ზემოქმედების ფიზიკური ფაქტორები“; ჩამდინარე წყლები; და ა. შ...

2. გზმ კვლევის განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია ალტერნატივების ანალიზი, თუმცა, ეს საკითხი გზმ ანგარიშში მეტად ზედაპირულად და არასრულყოფილადაა წარმოდგენილი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას 9.1 ქვეთავში ვხვდებით „პროექტის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი“. მოცემული ქვეთავი, სულ რაღაც გვერდნახევარზეა წარმოდგენილი და ალტერნატივების ანალიზის მხოლოდ თეორიული მიმოხილვაა. როგორც მოცემული ქვეთავიდან ირკვევა, პროექტის შედგენის რომელიღაც ეტაპზე განხილული იყო ადგილმდებარეობების ალტერნატივები თუმცა, რომელი ალტერნატივები შემდეგ არაა მოცემული.

დოკუმენტში საერთოდ არ არის წარმოდგენილი არაქმედების ანუ ნულოვანი და ტექნოლოგიური ალტერნატივები.

ასევე, სრულიად გაუგებარია რას გულისხმობს, გზმ ავტორი 9.1 ქვეთავში მოცემულ წინადადებაში, რომ *„დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების შერჩევის ზოგადი მოთხოვნები და კრიტერიუმები საკმაოდ მრავალფეროვანია და გარკვეულწილად დამოკიდებულია ინვესტორის მიერ ჩატარებულ ორგანიზაციულ ღონისძიებებზე“.*

3. დოკუმენტში გაუგებრადაა წარმოდგენილი, თუ რას გულისხმობს საქმიანობა. გზმ ანგარიშში საერთოდ არ არის წარმოდგენილი პროექტის მიზანშეწონილობის დასაბუთება. ასევე არაა დასაბუთებული პროექტის

საჭიროება; თუ რა მიზანს ემსახურება პროექტი და რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანს აღნიშნული საწარმოს ფუნქციონირება რეგიონს და ზოგადად, ქვეყანას. ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საზოგადოებამ და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უკეთ შეაფასონ პროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

**4.** გზშ დოკუმენტში ზედაპირულადაა განხილული, თუ რა ზეგავლენა ექნება პროექტს გარემოზე, ახლომდებარე დასახლებულ არეალებზე; არ არის შეფასებული ზეგავლენის მნიშვნელობა, მასშტაბები და შესაბამისად არ არის დადგენილი შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მნიშვნელოვანია, რომ უკეთ იქნეს შეფასებული ზეგავლენა გარემოსა და მიმდებარე დასახლებულ ტერიტორიაზე, დადგენილ იქნეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

**5.** ზედაპირულია სეისმოლოგიის ნაწილი; ის სულ რამოდენიმე წინადადებას მოიცავს. 2.3.5 ქვეთავში ნათქვამია: „საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების უახლოესი სქემის მიხედვით ზესტაფონი განთავსებულია 8 ბალიან სეისმურ ზონაში... გამომდინარე აქედან მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის სეისმურობად მიღებულ იქნეს 8 ბალი“. ამასთან, გზშ ანგარიშში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს სეისმურობა საპროექტო გადაწყვეტაზე.

**6.** 5. 7 ქვეთავი ფლორა და ფაუნა ზედაპირულადაა მომზადებული, აქ წარმოდგენილი მასალა მკითხველს ვერ აძლევს მოსალოდნელი ზემოქმედების სრულად შეფასების საშუალებას, გამომდინარე იქედან, რომ მონაცემები ეყრდობა მხოლოდ ლიტერატურულ მონაცემებს, არაა დოკუმენტში წარმოდგენილი წითელი ნუსხისა და ენდემური სახეობები.

გარდა ამისა, დოკუმენტში წარმოდგენილი სახეობების უმეტესი ნაწილი მოცემულია მხოლოდ ქართული სახელწოდებებით, ლათინური სახელწოდებების გარეშე.

**7.** ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები აგრეთვე მეტად არასრულყოფილადაა წარმოდგენილი. დოკუმენტში მითითებულია მხოლოდ მყარი ნარჩენების განთავსების ადგილები. სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ გადაეცემათ შესაბამის პასუხისმგებელ პირებს. თუმცა, ვინ არის პასუხისმგებელი პირი, სად და როგორ მოხდება ამ სახის ნარჩენების საბოლოო განთავსება - გაუგებარია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ გადაიხედოს საწარმოო ნარჩენების საბოლოო განთავსების ადგილები, პირობები და გამოვლინდეს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უფრო მისაღები ვარიანტები. საჭიროა ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და დეტალური გაწერა.

**8.** გზშ ანგარიშის ტექსტში მოცემულია არაერთი პროექტისათვის შეუსაბამო ინფორმაცია. მაგალითად, მაშინ როცა პროექტი ხორციელდება დასავლეთ საქართველოში, ქვეთავი „რადიაციული ფონი“ ნათქვამია, რომ „უკანასკნელი წლების რეგულარულ დაკვირვებათა მონაცემების საფუძველზე, აღმოსავლეთ საქართველოში რადიაციული დაბინძურების ფონი შეადგენს 10-17 მიკრორენტგენს საათში, ზესტაფონსა და მის შემოგარენში აღნიშნული მახასიათებელი არის 11-13 მიკრორენტგენი საათში“.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ გზშ დოკუმენტი არ მოიცავს საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის #31 ბრძანებით დამტკიცებულ „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების „მე-6“ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ გზშ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, ან მეტად არასრულყოფილ: 1. გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი; 2. დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასება; 3. გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების გზები, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრა; 5. პროექტების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების ჩატარება; 6. პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრა; 7. გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზი; 8. პროექტის განხორციელების შემდგომ სიტუაციის ანალიზის გეგმა; 9. დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის აღწერა (მათ შორის - დანადგარის საპასპორტო მონაცემები); 10. დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზი (მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე);